

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის
ბრძანება №2-67
2012 წლის 17 აპრილი ქ. თბილისი**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული
სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ**

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის 3¹ მუხლის მე-3 პუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,
ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 11 თებერვლის №2-30 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზ. გოროზია

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს
დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) არის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.
2. სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.
3. სააგენტოს აქვს სიმბოლიკა, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშები კომერციულ ბანკებსა და სახელმწიფო ხაზინაში და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
4. სააგენტოს იურიდიული მისამართია: 0159 ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6.

მუხლი 2. სააგენტოს უფლებამოსილებები და ფუნქციები (11.03.2013 N 2-67)

1. სააგენტოს უფლებამოსილებები და ფუნქციებია: (5.08.2015 N 2-181)

ა) საქართველოში მევენახეობა-მელვინეობის დარგის რეგულირება და ამ მიზნით ზედამხედველობის განხორციელება;

ბ) საქართველოში წარმოებული ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის წარმოების, შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო ზედამხედველობა;

გ) საწარმოებში ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის პროდუქციის მოძრაობისა და ნაშთების აღრიცხვა;

დ) მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარების, შესაბამისი პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და სამომხმარებლო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა;

ე) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის ექსპორტის ზრდისა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების ხელშეწყობა;

ვ) მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება, შესაბამისი პროგრამების, ტექნიკურ-ტექნოლოგიური დოკუმენტაციის, კანონპროექტებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება და მასში მონაწილეობის მიღება;

ზ) საქართველოში წარმოებული შიდა და გარე ბაზრისთვის განკუთვნილი ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის სერტიფიცირება;

თ) საქართველოში არსებული ვენახის ერთიანი კადასტრის შექმნის ორგანიზება და ხელშეწყობა;

ი) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიან სასმელზე შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემა;

კ) ვაზის სამყნობი და სარგავი მასალის წარმოებასა და რეალიზაციაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება;

ლ) დაცული ადგილწარმოშობის დასახელებისა და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის მქონე ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელების წარმოების სახელმწიფო კონტროლი და სერტიფიცირება;

მ) მევენახეობისა და მელვინეობის საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებთან ურთიერთობა/თანამშრომლობა;

ნ) ქართული ვაზისა და ღვინის კულტურისა და ისტორიის, ქართული ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების პოპულარიზაციისთვის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა, შესაბამისი ღონისძიებების ხელშეწყობა და ამ მიზნით მარკეტინგული საქმიანობის წარმართვა;

ო) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების დეგუსტაციების მოწყობის, ასევე გამოფენების და სემინარების ჩატარების ხელშეწყობა;

პ) მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ჟ) სააგენტოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

რ) კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ადმინისტრაციული სახდელის დადების მიზნით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა;

ს) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.“.

2. სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით, დააფუძნოს კერძო სამართლის იურიდიული პირები.

მუხლი 3. სააგენტოს მართვა და წარმომადგენლობა

1. სააგენტოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე (შემდგომში – თავმჯდომარე), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

2. თავმჯდომარე კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სააგენტოს საქმიანობას;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ითანხმებს ახალი პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ ინსტრუქციებს;

დ) ამტკიცებს სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, შინაგანაწესს, საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს;

ე) განსაზღვრავს თავმჯდომარის მოადგილეების უფლებამოსილებებს და კომპეტენციის სფეროებს, ანაწილებს ფუნქციებს სტრუქტურულ ერთეულებს შორის, კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას; (5.08.2015 N 2-181)

ვ) უფლებამოსილია განახორციელოს მის კომპეტენციაში არსებული საკითხების დელეგირება სააგენტოს სხვა თანამშრომელზე;

ზ) იღებს გადაწყვეტილებას სააგენტოს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ზ¹) უფლებამოსილია სააგენტოს თანამშრომლებისათვის დაადგინოს დანამატი, რომლის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეთანხმებით. (13.10.2014 N 2-197)

თ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს, აგრეთვე სააგენტოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი სადევუსტაციო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და სპეციალისტებს, ადგენს კომისიის წევრების შემადგენლობას, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს; (11.03.2013 N 2-67)

ი) კანონმდებლობით დადგენილი წესით, განკარგავს სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებსა და ქონებას, პასუხისმგებელია სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვასა და მიზნობრივად გამოყენებაზე;

კ) წარმოადგენს სააგენტოს მესამე პირთან ურთიერთობაში;

ლ) სხვადასხვა საკითხთა რეგულირების მიზნით ქმნის კომისიებს ან/და სამუშაო ჯგუფებს; (11.03.2013 N 2-67)

მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლება-მოვალეობებს. (11.03.2013 N 2-67)

3. თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის წინაშე.

4. თავმჯდომარეს ჰყავს ორი მოადგილე, რომლებსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თავმჯდომარე. (5.08.2015 N 2-181)

5. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე. (5.08.2015 N 2-181)

მუხლი 4. სააგენტოს სტრუქტურა (5.08.2015 N 2-181)

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ბ) მევენახეობა-მელვინეობის ანალიზისა და რეგულირების დეპარტამენტი;
- გ) მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

მუხლი 5. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები (11.03.2013 N 2-67)

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სააგენტოს საქმისწარმოების ორგანიზება და არქივის წარმოება, სახელმწიფო უწყებიდან, ფიზიკური ან იურიდიული პირებისაგან, შემოსული წერილების ან სააგენტოში წარმოებული სხვა ნებისმიერი დოკუმენტაციის თუ კორესპონდენციის რეგისტრაცია, მათი მოძრაობის ან შესრულებულ დავალებათა აღრიცხვა;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯარო ინფორმაციის გაცემა;

გ) სააგენტოს თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება, სააგენტოს თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვა;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და კოორდინაცია;

ე) საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების წარმართვა, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება, ფინანსური ანალიზი;

ვ) სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სააგენტოს ინტერესების სამართლებრივი დაცვა;

ზ) იმ ხელშეკრულებათა შედგენა ან/და მათ შედგენაში მონაწილეობის მიღება, რომლებშიც მხარედ წარმოდგენილია სააგენტო;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი დარგის სპეციალისტების მონაწილეობით, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული განცხადებების, საჩივრებისა და წერილების განხილვა;

ი) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა, ადმინისტრაციული სახდელების დადების შესახებ წინადადებების მომზადება;

კ) საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებში, სააგენტოს ინტერესების წარმოდგენა, სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, ქვეყნის გარეთ ქართული ღვინის ფალსიფიცირების ფაქტების არსებობისას, შესაბამისი რეაგირება;

ლ) სამეურნეო საკითხების უზრუნველყოფა და სააგენტოს ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების ორგანიზება;

მ) სააგენტოს მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებათა ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ნ) სააგენტოს კომპიუტერული ქსელისა და სხვა ტექნიკის შეუფერხებელი და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

ო) სააგენტოს თანამშრომლების საზღვარგარეთ (სემინარებზე, კონფერენციებზე და სხვა) სამივლინებო დოკუმენტების მომზადების ხელშეწყობა;

პ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

2. მევენახეობა-მელვინეობის ანალიზისა და რეგულირების დეპარტამენტის ფუნქციებია: (5.08.2015 N 2-181)

ა) დარგობრივი ნორმატიული აქტების, ტექნიკურ-ტექნოლოგიური დოკუმენტაციის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ბ) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი კომპანიების შიდა საწარმოო ინსტრუქციების ანალიზი, კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა და თავმჯდომარესთან შესათანხმებლად შესაბამისი დასკვნების მომზადება;

გ) რთველის სტატისტიკური ანალიზი;

დ) მელვინეობა-მევენახეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა;

ე) ვენახების ერთიანი კადასტრის პროგრამის დანერგვა, მართვა, მონიტორინგი;

ვ) მევენახეობა-მელვინეობის ისტორიისა და კულტურის კვლევა;

ზ) სერტიფიცირებული ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიან სასმელებზე ინსპექტირების განხორციელება;

თ) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ადგილწარმოშობის დასახელების და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციისთვის საჭირო მონაცემთა შესწავლა და დასკვნების მომზადება;

ი) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებაზე ხარისხობრივი და რაოდენობრივი კონტროლი და ზედამხედველობა;

კ) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების დაცული ადგილწარმოშობის დასახელებისა და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების სახელმწიფო კონტროლი;

ლ) სასაქონლო პროდუქციის წარმოებასთან, შენახვასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული სავალდებულო შეტყობინებების მიღება, აღრიცხვა, დამუშავება, ანალიზი;

მ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიან სასმელებზე შესაბამისობის სერტიფიკატის მომზადება და გაცემა;

ნ) საქართველოდან საექსპორტო ყურძნისეული წარმოშობის სასაქონლო პროდუქტებზე წარმოშობის სერტიფიკატების მომზადება და გაცემა;

ო) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის სტატისტიკის შემუშავება და მისი მუდმივი განახლება;

ბ) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ფიზიკო-ქიმიური ანალიზებისა და ორგანოლექტიკური დასკვნების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა;

ჟ) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისთვის საჭირო მონაცემების შესწავლა და სააგენტოს თავმჯდომარესთან შესათანხმებლად წარდგენა;

რ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით, სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

3. ამოღებულია (5.08.2015 N 2-181)

4. მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, როგორც შიდა, ისე გარე, სამომხმარებლო ბაზარზე ღირსეულად დამკვიდრებისა და დარგის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების ხელშეწყობა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, დარგთან დაკავშირებული სამარკეტინგო და სარეკლამო საქმიანობის ხელშეწყობა;

გ) ალკოჰოლიანი სასმელების დეგუსტაციების, კონკურსების და გამოფენების მოწყობა ან/და მათში მონაწილეობის მიღება;

დ) დარგის საინფორმაციო უზრუნველყოფა, სააგენტოს ვებგვერდზე სააგენტოს შესახებ ინფორმაციის და სიახლის განთავსება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

ე) მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებთან ურთიერთობა;

ვ) სხვა ქვეყნის შესაბამის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა;

ზ) სამომხმარებლო ბაზრის მარკეტინგული კვლევა;

თ) საერთაშორისო პარტნიორებთან და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების დაგეგმვა და თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა; (5.08.2015 N 2-181)

ი) სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დოკუმენტების უცხო ენაზე მომზადება.

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით, სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება. (5.08.2015 N 2-181)

მუხლი 6. მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისია (5.08.2015 N 2-181)

1. ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლექტიკური ტესტირების ჩატარების მიზნით, სააგენტოსთან იქმნება მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისია.

2. მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს მოადგილე და სპეციალისტები.

3. სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარეს, მოადგილეს და სპეციალისტებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარე, რომელიც ამტკიცებს მათ თანამდებობრივ სარგოებს.

4. სადეგუსტაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის წევრები (დეგუსტატორები), რომელთა კანდიდატურებსაც სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს თავმჯდომარე. კომისიის წევრებსა (დეგუსტატორები) და სააგენტოს შორის იდება შრომის ხელშეკრულება, რითიც განისაზღვრება მათი შრომის ანაზღაურების ოდენობა და სხვა პირობები.

5. სადეგუსტაციო კომისიის მუშაობის წესი და პირობები განსაზღვრულია შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

მუხლი 7. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს დეპარტამენტის საქმიანობას და ანგარიშვალდებულია სააგენტოს თავმჯდომარის წინაშე.

ბ) ადგენს სამუშაო გეგმას და პასუხისმგებელია მის შესრულებაზე;

გ) ანაწილებს ფუნქციებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის და აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) აკონტროლებს დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

ე) მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან გამოითხოვს კანონმდებლობით განსაზღვრულ ინფორმაციას და დოკუმენტებს;

ვ) თავმჯდომარესთან ან თავმჯდომარის მოადგილესთან განსახილველად წარადგენს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ზ) თავმჯდომარის თანხმობით, მონაწილეობს სააგენტოში შექმნილი დროებითი ან მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობაში; (11.03.2013 N 2-67)

თ) სააგენტოს ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების თაობაზე;

ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. (11.03.2013 N 2-67)

2. სტრუქტურული ქვედანაყოფების ყოველდღიური საქმიანობის კოორდინაციასა და სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს თავმჯდომარე ან/და თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 8. სააგენტოს ქონება

1. სააგენტოს ქონება შედგება:

ა) დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გადაცემული ქონებისაგან;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა ქონებისაგან.

2. სააგენტოს ქონებას შეადგენს ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე, სხვა მატერიალური ფასეულობები და ფინანსური რესურსები, რომლებიც აისახება სააგენტოს დამოუკიდებელ ბალანსზე.

მუხლი 9. სააგენტოს დაფინანსება

1. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

- ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;
- ბ) სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასური;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადები და საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები ხმარდება სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 10. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი

1. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

2. სააგენტო ვალდებულია კონტროლის განსახორციელებლად სოფლის მეურნეობის მინისტრს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია და მასალები.

3. სააგენტოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანხმობით შეუძლია:

ა) უძრავი ქონების შეძენა, სააგენტოს საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო ნუსხისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე სააგენტოს მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებების მიღება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

4. ამ მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

5. სააგენტოს უფლება აქვს მისთვის გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება განკარგოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სააგენტო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას, ადგენს ბალანსს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. სააგენტოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით.

2. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.